

შპს სითიქომი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. ამონაგები	9
5. პირდაპირი ხარჯები	9
6. პერსონალის შენახვის ხარჯები	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
8. არამატერიალური აქტივი	10
9. ძირითადი საშუალებები	11
10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება.....	12
11. გადახდილი ავანსები.....	13
12. მარაგები.....	13
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
14. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	14
15. ამხანაგობების სახელით მიღებული დაფინანსება.....	14
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
17. პირობითი ვალდებულებები.....	14
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	15
19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	16

შპს სითიქომი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	4	4,689,140	3,537,274
პირდაპირი ხარჯები	5	(2,052,185)	(1,236,761)
საერთო მოგება		2,636,955	2,300,512
პერსონალის შენახვის ხარჯები	6	(1,185,721)	(1,143,632)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(969,708)	(747,546)
საოპერაციო მოგება		481,525	409,334
ფინანსური შემოსავალი		56,250	9,630
ფინანსური ხარჯი		(48,958)	(51,380)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(41,610)	(19,739)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი, წმინდა		(29,359)	(46,947)
წმინდა მოგება		417,848	300,898
მოგების გადასახადი		(33,436)	(33,436)
წლის მთლიანი სრული მოგება		384,412	267,462

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

eSigned by:
დავით პირველაშვილი: 35da7bae-8274-45fd-9....
დავით პირველაშვილი
Certified by Signify

დავით პირველაშვილი

7 - 25 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს სითიქომი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	8	2,675,638	2,117,398
ძირითადი საშუალებები	9	737,887	984,149
საინვესტიციო ქონება		435,251	435,251
აქტივის გამოყენების უფლება	10	77,391	309,562
		3,926,167	3,846,360
მიმდინარე აქტივები			
გაცემული სესხები		12,856	80,206
გადახდილი ავანსები	11	263,273	82,257
მარაგები	12	480,353	423,321
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	129,603	205,631
საგადასახადო აქტივები		104,770	21,032
ფული და ფულის ექვივალენტები	14	1,055,833	377,920
		2,046,688	1,190,367
სულ აქტივები		5,972,855	5,036,727
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		890,061	890,061
გაუნაწილებელი მოგება		950,653	755,716
		1,840,714	1,645,777
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ამზანაგობების სახელით მიღებული დაფინანსება	15	3,428,920	2,400,017
გრძელვადიანი საბანკო სესხი		349,506	367,258
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	10	-	44,639
		3,778,426	2,811,913
მიმდინარე ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი		33,784	29,714
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	10	46,587	253,223
მიღებული ავანსები		150,476	126,436
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	122,867	169,664
		353,714	579,037
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,972,855	5,036,727

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით პირველაშვილი

7 - 25 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს სითიქომი

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	890,061	677,729	1,567,789
სხვა ცვლილება		11,462	11,462
დივიდენდების გადახდა	-	(189,474)	(189,474)
წლის მთლიანი სრული მოგება	-	255,999	255,999
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	890,061	755,716	1,645,777
დივიდენდების გადახდა	-	(189,474)	(189,474)
წლის მთლიანი სრული მოგება	-	384,412	384,412
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	890,061	950,654	1,840,714

შპს სითიქომი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	417,848	300,898
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	645,092	399,138
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ზარალი	37,859	14,601
დარიცხული პროცენტები	48,958	51,380
საპროცენტო შემოსავალი	(56,250)	(9,630)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	29,359	46,947
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	1,122,866	803,334
<i>ცვლილება საკუთარ კაპიტალში:</i>		
მარაგების შემცირება/(ზრდა)	(210,796)	(202,450)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	72,796	47,327
გადახდილი ავანსების შემცირება/(ზრდა)	(181,016)	49,603
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(130,839)	(66,675)
მიღებული ავანსების ზრდა/(შემცირება)	24,040	43,478
ფულადი ნაკადების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან	697,051	674,617
მოგების გადასახადის გადახდა	(33,436)	(33,436)
გადახდილი პროცენტი	(48,868)	(48,942)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან	614,747	592,238
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა/შექმნა	(608,993)	(1,418,557)
მიღებული პროცენტი	59,530	7,254
გაცემული სესხი	67,350	(25,850)
ფულადი ნაკადების წმინდა გაძინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(482,113)	(1,437,153)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(189,474)	(189,474)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(257,783)	(187,823)
აღებული/(გადახდილი) სასესხო ვალდებულებები	998,852	770,618
ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება ფინანსური საქმიანობიდან	551,595	393,321
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	684,229	(451,594)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	377,920	863,628
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(6,317)	(34,113)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	1,055,833	377,920

7 - 25 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს სითიქომი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს სითიქომის მიერ (შემდგომში „კომპანია“), რომელიც წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც ამას განმარტავს „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2017 წლის 22 მარტს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ირაკლი აბაშიძის ქ. N 48, ბ. 3. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს თბილისის მასშტაბით მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლების ლიფტებში საბარათე სისტემის დამონტაჟება და შემდგომი მომსახურება.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები იყვნენ შემდეგი პირები:

მფლობელები	2024 წილი %	2023 წილი %
დავით პირველაშვილი	61.00%	61.00%
ვასილ ჯალაბაძე	14.00%	14.00%
ლევან შარანგია	11.00%	11.00%
დავით ნადარაია	14.00%	14.00%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ფასს) მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ და შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

ფას სტანდარტების შესაბამისად წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან წინასწარი ფინანსური ინფორმაციისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, გარკვეულ ფაქტორებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე.

დაბეგვრა - ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანია დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

შპს სითიქომი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ამონაგები

ამონაგები 2024 და 2023 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	4,689,140	3,537,274
სულ ამონაგები	<u>4,689,140</u>	<u>3,537,274</u>

5. პირდაპირი ხარჯები

პირდაპირი ხარჯები მოიცავს წლის განმავლობაში რეალიზებული ბარათებისა და ელექტრონული მოწყობილობების თვითღირებულებას, რაც თავის მხრივ, აერთიანებს მარაგების შესყიდვისა და საჭირო მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირ დანახარჯს. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი. აგრეთვე, პირდაპირ ხარჯებში გათვალისწინებულია მომსახურების გასაწევად შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილების შრომის ანაზღაურების თანხები.

პირდაპირი ხარჯები 2024 და 2023 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
პირდაპირი ხელფასი	(1,154,202)	(659,496)
პირდაპირი მარაგი	(362,088)	(255,388)
ცვეთა	(356,401)	(193,704)
პირდაპირი მომსახურება	(179,494)	(128,173)
სულ პირდაპირი ხარჯები	<u>(2,052,185)</u>	<u>(1,236,761)</u>

6. პერსონალის შენახვის ხარჯები

პერსონალის შენახვის ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციის, მიწოდებისა (რომელიც თავის მხრივ აერთიანებს ქოლცენტრისა და გაყიდვების სამსახურის შრომის ანაზღაურებებს) და სხვა ხარჯებს სარგებლების გათვალისწინებით.

პერსონალის შენახვის ხარჯები 2024 და 2023 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)	(613,530)	(651,454)
შრომის ანაზღაურება (მიწოდება)	(542,401)	(470,761)
სხვა ხარჯი	(29,790)	(21,417)
სულ პირდაპირი ხარჯები	<u>(1,185,721)</u>	<u>(1,143,632)</u>

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ცვეთა	(288,690)	(205,434)
მიწოდების ხარჯები	(276,494)	(210,725)
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯები	(204,243)	(121,789)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	(83,850)	(60,547)
საკანცელარიო და სხვადასხვა დამხმარე საოფისე ხარჯები	(36,251)	(35,777)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(32,970)	(36,880)
კომპიუტერისა და IT მომსახურების ხარჯი	(12,974)	(10,750)
საგადასახადო ხარჯი	(16,136)	(3,707)
მივლინების ხარჯები	(11,673)	-
რემონტის ხარჯი	(3,025)	(10,544)
ოჯარის ხარჯი	(814)	(47,437)
სხვა საერთო ხარჯი	(2,588)	(3,956)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(969,708)	(747,546)

8. არამატერიალური აქტივი

კომპანია ფლობს ბილინგის პროგრამას, რომლის საშუალებითაც ამხანაგობებს უწევს მომსახურებას. აღნიშნული პროგრამა საკომისიო შემოსავლის პირველწყაროა. ის ასევე დაკავშირებულია კომპანიის საიტთან, რისი საშუალებითაც ამხანაგობის წევრები იღებენ მათთვის სასურველ ინფორმაციას ანგარიშის ნაშთის და ბრუნვების შესახებ. აღნიშნული აქტივი თავდაპირველად აღირიცხა როგორც დამფუძნებლის მიერ კაპიტალში შეტანილი არამატერიალური აქტივი.

შემდგომ პერიოდებში აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება დეველოპერების მიერ გაწეული შრომითი დანახარჯების და პროგრამასთან დაკავშირებული მომსახურებების კაპიტალიზებით. კაპიტალიზაცია ხდება ბასს 38-ის მოთხოვნების შესაბამისად - მხოლოდ იმ ხარჯების, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება პროგრამის გაუმჯობესებას, ფუნქციონალის განვითარებას და მომავალში ეკონომიკური სარგებლის შექმნას. მიმდინარე ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის რეგულარულ მხარდაჭერასა და ყოველდღიურ გამოყენებასთან, აღირიცხება ხარჯებში.

ბილინგის პროგრამა კლასიფიცირებულია როგორც განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივი, შესაბამისად არ ხდება ამორტიზაციის დარიცხვა, თუმცა საწარმოს მიერ ხდება გაუფასურებაზე შემოწმება ბასს 36-ის მოთხოვნების შესაბამისად, მისი ანაზღაურებადი ღირებულების შედარების გზით მის საბალანსო ღირებულებასთან.

შპს სითიქომი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	ელექტრონული მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
1 იანვარი 2023	52,084	1,089,088	138,669	32,065	1,311,906
შემოსვლა	-	188,734	47,055	45,649	281,438
გასვლა	-	(19,522)	-	-	(19,522)
31 დეკემბერი 2023	52,084	1,258,299	185,724	77,714	1,573,822
შემოსვლა	-	153,523	36,362	14,633	204,517
გასვლა	-	(305,174)	(14,455)	-	(319,628)
31 დეკემბერი 2024	52,084	1,106,649	207,631	92,347	1,458,711
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2023	(4,778)	(271,838)	(55,199)	(18,422)	(350,237)
წლის ცვეთა	(5,208)	(188,496)	(38,237)	(12,416)	(244,357)
გასული აქტივების ცვეთა	-	4,920	-	-	4,920
31 დეკემბერი 2023	(9,986)	(455,414)	(93,436)	(30,837)	(589,674)
წლის ცვეთა	(5,208)	(351,193)	(41,989)	(14,529)	(412,920)
გასული აქტივების ცვეთა	-	268,064	13,705	-	281,770
31 დეკემბერი 2024	(15,195)	(538,542)	(121,720)	(45,367)	(720,824)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2023	42,098	802,886	92,288	46,877	984,149
31 დეკემბერი 2024	36,890	568,106	85,911	46,981	737,887

10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება

კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი თბილისში არადაკავშირებული მხარისგან. საიჯარო პერიოდი შეადგენს ორ წელს. საწარმოს მიერ აღიარებული აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენობა	სულ
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2023	-	-
ახალი იჯარა	464,343	464,343
წლის ცვეთა	(154,781)	(154,781)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2023	309,562	309,562
წლის ცვეთა	(232,171)	(232,171)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2024	77,391	77,391

საიჯარო ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	46,587	253,223
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	-	44,639
სულ საიჯარო ვალდებულება	46,587	297,862

ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან რომლებიც ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებაშია ასახული 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 1 იანვარი	297,862	-
ფულადი ნაკადები		
ძირის გადახდა	(257,783)	(144,541)
გადახდილი პროცენტი	(16,588)	(23,237)
არაფულადი ცვლილებები		
ახალი იჯარა	-	421,061
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	6,508	21,342
დარიცხული პროცენტი	16,588	23,237
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 31 დეკემბერი	46,587	297,862

შპს სითიქომი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

11. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
არაფინანსური მოთხოვნები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	247,705	67,668
თანამშრომლებზე გადახდილი ავანსები	15,568	14,589
სულ გადახდილი ავანსები	263,273	82,257

12. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული და მასალები	188,237	189,221
მზა პროდუქცია	290,756	230,877
სხვა	1,360	3,223
სულ მარაგები	480,353	423,321

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	129,603	202,351
სხვა დარიცხული მოთხოვნები	-	3,280
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	129,603	205,631

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

14. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	885,336	161,617
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	43,222	559
ფული გზაში	127,275	215,745
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,055,833	377,920

15. ამხანაგობების სახელით მიღებული დაფინანსება

საწარმოს ანგარიშზე ამხანაგობების სახელით პერიოდულად ხორციელდება თანხების ჩარიცხვა. აღნიშნული თანხებიდან კომპანიის კუთვნილი საკომისიოს წილი შემოსავლად აღიარდება, ნაწილი კი გადანაწილდება ამხანაგობის სახელით სხვადასხვა სახის სერვისების შესყიდვისას გადახდილ თანხებში. შესაბამისად აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის ხელთ დროებით ნაშთად არსებულ თანხას, რომელიც მოთხოვნისთანავე დასაბრუნებელი აქვს ამხანაგობისათვის.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	91,936	138,286
პერსონალის მიმართ ვალდებულება	28,403	28,941
სხვა დარიცხული ვალდებულებები	2,528	2,437
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	122,867	169,664

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

17. პირობითი ვალდებულებები

დაზღვევა - სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია, შესაბამისად მსოფლიოს სხვა ნაწილისათვის მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულიად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო დაფარვა საკუთარ ძირითად საშუალებებზე, ბიზნეს საქმიანობის შეჩერებაზე ან მესამე პირთა მიმართებაში ქონებრივ ან გარემოსდაცვით ვალდებულებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას კომპანიის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად ან ოპერაციებთან დაკავშირებით. სანამ კომპანია არ მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ შესაძლო ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს არსებითად საზიანო გავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

შპს სითიქომი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

17. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სასამართლო დავები - 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი, დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შექმნილი არ არის.

გადასახადები - ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული მიდგომა შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება ამ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	2.9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8068	2.9306

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

ფული და ფულის ექვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ექვივალენტებში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორე იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ამონაგები

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები აღიარდება მომსახურების დასრულებისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა;

19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდი ბოლოსთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არარეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

დივიდენდების განაწილების გარდა საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

შპს სითიქომი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. კერძოდ:

- შესყიდვის ფასს, მათ შორის საბაჟო გადასახადს და აუნაზღაურებად შესყიდვის გადასახადს,
- სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ;
- ნებისმიერ დანახარჯს, რაც აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სახით აქტივის მოხმარებისთვის საჭირო ადგილზე განთავსებისა და საჭირო მდგომარეობაში მოყვანისთვის;
- აქტივის დემონტაჟის, გატანისა და ტერიტორიის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას;
- მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ აქტივის შეძენის შემდეგ ან გარკვეულ პერიოდში აქტივის მარაგის წარმოების გარდა სხვა მიზნით გამოყენების შედეგად.

საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს და ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან მოხსნის ღირებულებას. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

19. ძირითადი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადები
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
ელექტრონული მოწყობილობები	3-7 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-7 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3 წელი

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება საადრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც:

ა) მაღალია იმის ალბათობა, რომ საწარმო მიიღებს აქტივიდან მოსალოდნელ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; და

ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

კომპანიას ბალანსზე უფიქსირდება არსებითი ღირებულების არამატერიალური აქტივი - ბილინგის პროგრამა, რომლის ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი კომპანიის კაპიტალში არის შემოტანილი როგორც დამფუძნებლის შენატანი. ფას სტანდარტის შესაბამისად, ყველა სამეცნიერო-კვლევითი დანახარჯი აღიარდება ხარჯის სახით, როდესაც წარმოიშვება.

არამატერიალური აქტივი, რომელიც წარმოიქმნება საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგად აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოს შეუძლია აჩვენოს:

ა) ტექნიკურად განხორციელებადია არამატერიალური აქტივის დასრულება ისე, რომ მისი გამოყენება ან გაყიდვა გახდეს შესაძლებელი;

ბ) არამატერიალური აქტივის დასრულებისა და გამოყენების ან მისი გაყიდვის განზრახვა;

გ) არამატერიალური აქტივის გამოყენების ან გაყიდვის უნარი;

დ) თუ როგორ წარმოქმნის არამატერიალური აქტივი მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ამასთან, საწარმომ უნდა აჩვენოს არამატერიალური აქტივის გამოყენების შედეგების ან თვით არამატერიალური აქტივის ბაზრის არსებობა, ან თუ მისი საწარმოში გამოყენებაა განზრახული - არამატერიალური აქტივის სარგებლიანობა;

შპს სითიქომი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ე) საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დასრულებისა და არამატერიალური აქტივის გამოყენების ან გაყიდვისათვის საჭირო ადეკვატური ტექნიკური, ფინანსური და სხვა რესურსების არსებობა; და

ვ) საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმდინარეობისას გაწეული, არამატერიალურ აქტივზე მიკუთვნებადი, დანახარჯების საიმედოდ შეფასების უნარი.

არამატერიალური აქტივის საწყისი შეფასება ხდება თვითღირებულებით. საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს ყველა დანახარჯს, რომლებიც შეიძლება პირდაპირ იქნეს მიკუთვნებული, ან გონივრულ და დასაბუთებულ საფუძველზე განაწილებული, აქტივის შექმნაზე, წარმოებასა და გამოიზნული გამოყენებისათვის მომზადებაზე.

დანახარჯი არამატერიალურ მუხლზე, რომელიც საწარმოს მიერ წინა წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველად აღიარდა როგორც ხარჯი, შემდგომში არ აღიარდება როგორც არამატერიალური აქტივის თვითღირებულების ნაწილი.

საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივი აისახება მისი თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ამორტიზაციისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ოდენობით.

საწარმოს მიერ არამატერიალურ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მიიჩნევა განუსაზღვრელად, რადგან ყველა მიმდინარე ფაქტორის გაანალიზების შემდეგ ვერ განისაზღვრება იმ პერიოდის შეზღუდვა, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივის მიერ საწარმოში ფულადი ნაკადების შემოსავლის გამოიმუშავება.

საწარმო ამოწმებს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივს გაუფასურებაზე, მისი ანაზღაურებადი ღირებულების შედარების გზით მის საბალანსო ღირებულებასთან:

ა) ყოველწლიურად; და

ბ) ყოველთვის, როცა არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით.

საწარმო თავდაპირველი აღიარების შემდეგ ირჩევს თვითღირებულების მოდელს, ამ მოდელით ასახული მთელი საინვესტიციო ქონება შეფასებულია ბასს 16-ის მოთხოვნების შესაბამისად. საინვესტიციო ქონების, კერძოდ, საწარმოს მფლობელობაში არსებული მიწის რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებიდან.

19. ძირითადი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და ხდება მისი შეფასება თვითღირებულების მოდელით, რომელიც გულისხმობს გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება ისეთ არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ან გამოყენების პროცესშია, ან გამიზნულია გასაყიდად, იმ შემთხვევაში თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

საწარმო განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივს ამოწმებს გაუფასურებაზე, მისი ანაზღაურებადი ღირებულების შედარების გზით მის საბალანსო ღირებულებასთან:

ა) ყოველწლიურად; და

ბ) ყოველთვის, როცა არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნების არსებობის დადგენისას, საწარმო ითვალისწინებს სულ მცირე, შემდეგ ნიშნებს მაინც:

ინფორმაციის გარე წყაროები:

ა) მოცემული პერიოდის განმავლობაში აქტივის ღირებულება მნიშვნელოვნად იმაზე მეტად შემცირდა, რაც მოსალოდნელი იქნებოდა დროის გასვლის ან ჩვეულებრივი გამოყენების შედეგად;

ბ) მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საწარმოზე, მოხდა მოცემულ პერიოდში ან ახლო მომავალში მოხდება იმ ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც ფუნქციონირებს საწარმო, ან იმ ბაზარზე, რომლისთვისაც განკუთვნილია აქტივი;

გ) საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ან ინვესტიციებზე უკუგების საბაზრო ნორმები მოცემულ პერიოდში გაიზარდა და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ზრდა გავლენას მოახდენს აქტივის გამოყენების ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთზე და მნიშვნელოვნად შეამცირებს მოცემული აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას;

დ) ანგარიშვალდებული საწარმოს ნეტო აქტივების საბალანსო ღირებულება მეტია მის საბაზრო კაპიტალიზაციაზე.

ინფორმაციის შიდა წყაროები:

ე) არსებობს აქტივის მოძველების ან მისი ფიზიკური დაზიანების ნიშნები;

შპს სითიქომი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვ) მოცემულ პერიოდში მოხდა ან ახლო მომავალში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საწარმოზე იმ თვალსაზრისით, რომ გავლენას მოახდენს აქტივის მიმდინარე ან შემდგომი გამოყენების ხარისხზე, ან მეთოდზე. აღნიშნულ ცვლილებებს განეკუთვნება აქტივის მოცდენა, იმ ქვედანაყოფის საქმიანობის შეწყვეტის ან რესტრუქტურისაციის გეგმები, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი, ასევე აქტივის ექსპლუატაციიდან ამოღების გეგმა ნაგარაუდევზე ადრე თარიღზე და ადრე განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონედ კლასიფიცირებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ხელახლა შეფასება და კლასიფიცირება შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივად;

ზ) შიდა ანგარიშგებიდან ჩანს მტკიცებულებები იმისა, რომ აქტივის გამოყენების ეკონომიკური მაჩვენებლები მოსალოდნელზე უფრო მეტად გაუარესდა, ან მომავალში გაუარესდება.

შიდა ანგარიშგებიდან მიღებული მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე, არის:

ა) აქტივის შესაძენად, სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად და მისი შენახვისათვის საჭირო ფულადი სახსრების ოდენობა, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება გეგმურ თანხას;

ბ) ფაქტობრივი ნეტო ფულადი ნაკადი ან აქტივიდან მიღებული საოპერაციო მოგება/ზარალი, რომელიც დაგეგმილ მაჩვენებლებზე გაცილებით უარესია;

გ) აქტივის ნეტო ფულადი ნაკადების ან საოპერაციო მოგების მნიშვნელოვანი შემცირება, ან ზარალის მნიშვნელოვანი გაზრდა დაგეგმილთან შედარებით;

დ) აქტივის საოპერაციო ზარალი ან ნეტო ფულადი სახსრების გასვლა, რომელიც მიღებულია მიმდინარე პერიოდის მონაცემებისა და დაგეგმილი მონაცემების აგრეგირების შედეგად.

აღნიშნული ჩამონათვალი, არ არის ამომწურავი. საწარმომ შეიძლება მოახდინოს აქტივის შესაძლო გაუფასურების სხვა მაჩვენებლების იდენტიფიცირებაც, რომელთა არსებობის შემთხვევაში საწარმო განსაზღვრავს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის სხვაობა აღიარებულ აქტივებსა და აღიარებულ ვალდებულებებს შორის. წარმოდგენილ ანგარიშგებაში კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან.

19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით

განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანია საეჭვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საეჭვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

შპს სითიქომი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის

ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.